




ავტორები: დავით კუშელავა, იაროსლავა ბაბიჩი

რუსეთიდან შემოსული ფულადი გზავნილების მოცულობა 1000%-ზე მეტით გაიზარდა ერთი წლის განმავლობაში, რამაც ლარის მნიშვნელოვანი გამყარება გამოიწვია

გრაფიკი 1 - საქართველო, მშპ-ის რეალური ზრდის ტემპი (წ.წ.)



ISSET-ის კვლევითმა ინსტიტუტმა 2023 წლის პირველი და მეორე კვარტლების მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) რეალური ზრდის პროგნოზი განაახლა. ქვემოთ მოცემულია ამ თვის განახლების ძირითადი მიგნებები.

ძირითადი მიგნებები:

- 2023 წლის იანვარში, მშპ-ის რეალური ზრდის მაჩვენებელმა 8.4% შეადგინა.
- მშპ-ის ზრდის პროგნოზის მარტის განახლების მიხედვით, 2023 წლის პირველი კვარტლის ზრდის პროგნოზი 0.1 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 2.6% შეადგინა. ISSET-ის კვლევითი ინსტიტუტის მე-2 პროგნოზის თანახმად, 2023 წლის პირველ კვარტალში მშპ-ის ზრდის მაჩვენებელი 1.6%-ია.
- იანვრის მონაცემებზე დაყრდნობით, 2023 წელს, პესიმისტური სცენარის განვითარების შემთხვევაში, მოსალოდნელია წლიური 2%-იანი ზრდა, ხოლო საუკეთესი ან საშუალო, გრძელვადიანი ზრდის სცენარის შემთხვევაში – 3%-იანი ზრდა. ჩვენი შუალედური პროგნოზის



თანახმად (უკანასკნელი ოთხი კვარტლის საშუალო ზრდის მაჩვენებელზე დაყრდნობით), რეალური მშპ 2.4%-ით გაიზარდება.

- სავარაუდოდ, აღნიშნული საპროგნოზო მაჩვენებლები **გადაჭარბებით პესიმისტურად აფასებს რეალობას**. აღნიშნული განპირობებულია იმ ფაქტით, რომ საქართველოს მონაცემებში არ მოიძებნება მიგრანტების მიმდინარე მასშტაბური შემოდინების ანალოგი.
- საქართველოს ეროვნული ბანკის ბოლო მონეტარული პოლიტიკის ანგარიშის თანახმად, **მოსალოდნელია 2023 წლის რეალური ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლის 4%-მდე შემცირება**. ზრდის მაჩვენებლის ამგვარი შემცირება განპირობებული იყო მომდევნო წელს მიგრანტების ნაკლები შემოდინებით და გლობალური ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლის მოსალოდნელი შემცირებით.

ომის გამო მერყეობდა მეზობელი ქვეყნების მშპ-ის ზრდის რეალური მაჩვენებელი; ყველაზე მძიმედ დაზარალდა რუსეთის ეკონომიკა, სომხეთსა და საქართველოში ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელმა მნიშვნელოვნად მოიმატა.

მეზობელ ქვეყნებში მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდის არაერთგვაროვანი მაჩვენებელი დაფიქსირდა, რაც განპირობებული იყო იმ ფაქტით, რომ რუსეთის მიერ უკრაინაში ომის დაწყებამ განხვავებულად იმოქმედა რეგიონის ქვეყნებზე. აღნიშნულ ქვეყნებს შორის **განსაკუთრებით დაზარალდა რუსეთი, რომლის ეკონომიკაც წლიურ ჭრილში 2.1%-ით შემცირდა**, რასაც ადასტურებს [რუსეთის ფედერალური სტატისტიკის სამსახურის მონაცემები](#). აღნიშნული მაჩვენებელი მკვეთრად შემცირებული 2021 წელთან შედარებით, როდესაც მშპ-ის რეალურმა ზრდამ წლიური 5.6% შეადგინა. წლიური შემცირება განპირობებული იყო მიმდინარე ომითა და რუსეთისთვის დაწესებული უპრეცედენტო ეკონომიკური სანქციებით.

მეორე მხრივ, სომხეთსა და საქართველოს მაღალი ეკონომიკური ზრდა ჰქონდათ, რაც ნაწილობრივ რუსეთიდან მიგრანტების შემოდინებით¹ იყო განპირობებული. [სომხეთის სტატისტიკის ეროვნული კომიტეტის თანახმად](#), 2022 წელს სომხეთის მშპ 12.6%-ით გაიზარდა წინა წელთან შედარებით. ამავდროულად, თურქეთსა და აზერბაიჯანში რეალური ეკონომიკური ზრდის უფრო ზომიერი მაჩვენებლები დაფიქსირდა. თურქეთის სტატისტიკის ინსტიტუტის ([TurkStat](#)) მონაცემების თანახმად, 2022 წელს თურქეთის ეკონომიკა 5.6%-ით გაიზარდა და ქვეყნის მშპ-ის მაჩვენებელმა 15 ტრილიონი თურქული ლირა (რაც 905.5 მილიარდი აშშ დოლარია) შეადგინა. ხოლო [Trend reports](#)-ის მონაცემებით, აზერბაიჯანის რეალური მშპ 4.6%-ით გაიზარდა წინა წელთან შედარებით².

აზიის განვითარების ბანკის 2022 წლის სექტემბერში გამოცემული ეკონომიკური ზრდის პროგნოზის თანახმად, 2023 წლისთვის საქართველოს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი რეგიონის უმაღლეს


¹ 2022 წელს მაღალშემოსავლიანი რუსი მიგრანტების შემოდინებასთან დაკავშირებული აშკარა ეკონომიკური სარგებლის მიუხედავად, ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, აღნიშნული მნიშვნელოვან ეკონომიკურ რისკებთანაცაა დაკავშირებული. რუსეთიდან საქართველოში გაზრდილ მიგრაციასთან დაკავშირებული რისკების შესახებ უფრო სიღრმისეული ანალიზის სანახავად, იხილეთ ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის პოლიტიკის დოკუმენტი [„ომის ჩრდილქვეშ: 2022 წლიდან რუსეთიდან საქართველოში მიგრაციის ეკონომიკური გავლენა“](#)

² წყარო: აზერბაიჯანის ეკონომიკის სამინისტრო და აზერბაიჯანის მდგრადი განვითარების ეროვნული საკოორდინაციო საბჭო.



ნიშნულს, 6%-ს მიაღწევს. ამის საპირისპიროდ, აზერბაიჯანის საპროგნოზო ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი გაცილებით ნაკლებია და 2.8%-ს შეადგენს. გარდა ამისა, იმავე ანგარიშის თანახმად, მოსალოდნელია სომხეთის ეკონომიკის 4.5%-ით გაზრდა. 2023 წლის რეალური მშპ-ის ზრდის ტემპების საპროგნოზო მაჩვენებლები მოცემულია მე-2 გრაფიკზე.

გრაფიკი 2: მშპ-ის რეალური ზრდის მაჩვენებელი, 2023 წლის პროგნოზი (წლიური პროცენტული მაჩვენებელი)



წყარო: აზიის განვითარების ბანკი. აზიის განვითარების პროგნოზი 2022-ის განახლება (2022 წლის სექტემბერი)

მშპ-ის ზრდის პროგნოზის განმაპირობებელი ფაქტორები:

ფულის მასა. იანვარში, წლიურ ჭრილში, შესამჩნევად გაიზარდა ფულის მასის ყველა აგრეგატი, მათ შორის ბანკებს გარეთ არსებული ნაღდი ფული (M0) და ფართო ფული (M3), თუმცა აღნიშნული მაჩვენებლები შემცირდა წინა თვესთან შედარებით. ფულის მასის M2 და M3 აგრეგატებმა, შესაბამისად, 22.8%-იანი და 11%-იანი წლიური ზრდა განიცადა. მიუხედავად ამისა, თვიურ ჭრილში ფულის მასის M2 და M3 აგრეგატები, შესაბამისად, 3.8%-ით და 3.9%-ით შემცირდა. ამასთანავე, მიმოქცევაში არსებული ვალუტა წლიური 12.9%-ით გაიზარდა, ხოლო თვიურ ჭრილში 5.9%-ით შემცირდა. ბანკებს გარეთ არსებულმა ნაღდმა ფულმა (M0) წლიური 11.4%-ით მოიმატა, ხოლო თვიურ ჭრილში 6.2%-ით შემცირდა. *საერთო ჯამში, ჩვენს მოდელზე დაყრდნობით, ფულის მასასთან დაკავშირებულმა ცვლადებმა მცირედი დადებითი წვლილი შეიტანეს 2023 წლის პირველი კვარტლის მშპ-ის რეალურ ზრდის პროგნოზში.*

დეპოზიტები ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში. ცვლადების კიდევ ერთი ჯგუფი, რომელმაც გარკვეული გავლენა იქონია ჩვენს პროგნოზზე, კომერციულ ბანკებში არსებული ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების მოცულობა იყო. ეროვნულ ვალუტაში არსებული



ყველა კატეგორიის დეპოზიტის ღირებულება გაიზარდა წლიურ ჭრილში, ხოლო ზოგიერთი მათგანი (მაგ. მიმდინარე ანგარიში და მოთხოვნამდე დეპოზიტები) იანვარში შემცირდა წინა თვესთან შედარებით. წლიური 62.3%-ით გაიზარდა მოთხოვნამდე დეპოზიტები ეროვნულ ვალუტაში, ხოლო ვადიანი დეპოზიტების წლიურმა ზრდის ტემპმა 26.1% შეადგინა. **შესაბამისად, ეროვნულ ვალუტაში არსებული დეპოზიტები წლიური 29.7%-ით გაიზარდა.** დროის იმავე მონაკვეთში, ვადიანი დეპოზიტები თვითურ ჭრილში 4.9%-ით გაიზარდა, ხოლო მოთხოვნამდე დეპოზიტები და მიმდინარე ანგარიში წინა თვესთან შედარებით, შესაბამისად, 2.4%-ით და 4.5%-ით შემცირდა. *ეროვნულ ვალუტაში არსებულ დეპოზიტებთან დაკავშირებულ ცვლადებს პოზიტიური გავლენა ჰქონდათ მშპ-ის რეალური ზრდის პროგნოზებზე.*

ეროვნულ ვალუტაში არსებული დეპოზიტებისგან განსხვავებით, **უცხოურ ვალუტაში არსებული დეპოზიტების ზრდის მაჩვენებელი, წინა წლის იმავე თვესთან შედარებით, ნაკლები ტემპით, 13.1%-ით გაიზარდა.** დროის იმავე მონაკვეთში უცხოურ ვალუტაში მიმდინარე ანგარიშები და მოთხოვნამდე დეპოზიტები წლიური 10%-ით გაიზარდა, ხოლო უცხოურ ვალუტაში არსებული ვადიანი დეპოზიტები წლიური 11.3%-ით შემცირდა. უცხოურ ვალუტაში არსებული დეპოზიტების წლიური ზრდის მაჩვენებლის შემცირება ნაწილობრივ ეროვნული ვალუტის გამყარებით იყო განპირობებული. დეპოზიტების დოლარიზაცია 1.2 პროცენტული პუნქტით შემცირდა თვითურად და 3.7 პროცენტული პუნქტით შემცირდა წლიურად. *ჩვენს მოდელზე დაყრდნობით, პოზიტიური წლიური ტენდენციების მიუხედავად, უცხოურ ვალუტაში არსებულ დეპოზიტებთან დაკავშირებულმა ცვლადებმა მცირე უარყოფითი წვლილი შეიტანა მშპ-ის ზრდის მაჩვენებელში.*

დამატებითი ღირებულებების გადასახადის ბრუნვა. რაც შეეხება კიდევ ერთ საინტერესო ცვლადს, იანვარში დღგ-ის ბრუნვა წლიურ ჭრილში 23.8%-ით, ხოლო თვითურ ჭრილში 0.5%-ით გაიზარდა. *საერთო ჯამში, ამ ცვლადმა დადებითი წვლილი შეიტანა მშპ-ის რეალურ ზრდაში.*

საქონლით ვაჭრობა. იანვარში საქართველოს ექსპორტი წლიური 38.5%-ით გაიზარდა. ეს, ძირითადად, განპირობებული იყო ავტომობილების (წლიური 186.6%-ით გაზარდა), ფეროშენადნობების (61.8%-ით გაიზარდა), მონაცემთა ავტომატური დამუშავების მანქანების და მათი ერთეულების (1363.5%-ით გაიზარდა), არადენატურირებული ეთილის სპირტის, სპირტიანი სასმელების, ლიქიორის და სხვა ალკოჰოლური სასმელების (43.7%-ით გაიზარდა), დაუმუშავებელი, ნახევრად დამუშავებული ან ფხვნილის სახით არსებული ოქროს (49.4%-ით გაიზარდა), მინერალური ან ქიმიური სასუქების (აზოტიანი) (18.1%-ით გაიზარდა), სიგარეტის, მანილური სიგარეტის, სიგარილიოების და სიგარეტების (154.6%-ით გაიზარდა), ნავთობპროდუქტების (115%-ით გაიზარდა), წყლის, ტკბილი მინერალური და გაზიანი სასმელების (51%-ით გაიზარდა), სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების (2.7%-ით გაიზარდა), და ყურძნის ნატურალური ღვინოების (8.1%-ით გაიზარდა) გაზრდილი ექსპორტით/რეექსპორტით. აღსანიშნავია, რომ ექსპორტის მოცულობა (რეალური ექსპორტი) საგრძნობლად, წლიური 45.3%-ით გაიზარდა.

ამ პერიოდის განმავლობაში საქონლის იმპორტი 27.3%-ით გაიზარდა, რაც უმეტესად საწვავისა და ნავთობპროდუქტების და სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების გაზრდილმა იმპორტმა / რეიმპორტმა განაპირობა. ამის საპირისპიროდ, შემცირდა ელექტროენერჯის და ავტომობილების



იმპორტის/რეიმპორტის წლიური მაჩვენებელი. ამავდროულად, რეალური იმპორტის წლიური მაჩვენებელი მხოლოდ 12.5%-ით გაიზარდა (ამგვარი ზრდა ძირითადად გაზრდილი ფასებით იყო განპირობებული). შესაბამისად, **სავაჭრო დეფიციტი წლიური 19.4%-ით გაიზარდა და 560.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.** *საერთო ჯამში, ვაჭრობასთან დაკავშირებულმა ცვლადებმა დადებითი გავლენა იქონია მშპ-ის ზრდის პროგნოზზე.*

ფულადი გზავნილები. ნოემბერში ფულადი გზავნილები წლიური 163.5%-ით გაიზარდა და 445 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. აღნიშნული ზრდის მთავარი ხელშემწყობნი იყვნენ: *რუსეთის ფედერაცია* (1095.7%-ით გაიზარდა, რაც 145.2 პროცენტულ პუნქტს შეადგენს), *აშშ* (40.8%-ით გაიზარდა, 4.9 პროცენტული პუნქტი), *იტალია* (18.9%-ით გაიზარდა, 3.7 პროცენტული პუნქტი), *გერმანია* (61.8%-ით გაიზარდა, 3.2 პროცენტული პუნქტი), *ისრაელი* (14.5%-ით გაიზარდა, 1.3 პროცენტული პუნქტი), *ყაზახეთი* (32.1%-ით გაიზარდა, 1.3 პროცენტული პუნქტი), *ყირგიზეთი* (60.1%-ით გაიზარდა, 1 პროცენტული პუნქტი) და *თურქეთი* (26.1%-ით გაიზარდა, 1 პროცენტული პუნქტი). შემცირდა ფულადი გზავნილები *უკრაინიდან* (99.1%-ით შემცირდა, რაც -3,2 პროცენტულ პუნქტს უტოლდება) და *აზერბაიჯანიდან* (24.2%-ით შემცირდა, რაც -0,6 პროცენტულ პუნქტს უტოლდება). *საერთო ჯამში, ფულადი გზავნილების ნაკადის ზრდამ მნიშვნელოვანი დადებითი წვლილი შეიტანა მშპ-ის ზრდის პროგნოზში.*

გაცვლითი კურსი. იანვარში ქართული ლარი გამყარდა თითქმის ყველა სავაჭრო პარტნიორის ვალუტასთან მიმართებით. ქართული ლარი ყველაზე საგრძნობლად აშშ დოლართან (თვიურ ჭრილში 2.3%-ით, ხოლო წლიური 13.5%-ით) და თურქულ ლირასთან მიმართებით (თვიურ ჭრილში 2.7%-ით, ხოლო წლიური 37.3%-ით) გამყარდა, ლარი/ევროს გაცვლითი კურსი ყოველთვიური 0.1%-ით და წლიური 15.2%-ით გაიზარდა, ხოლო ლარი/რუბლის გაცვლითი კურსი ყოველთვიური 3.2%-ით გაიზარდა და წლიური 3%-ით შემცირდა. რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი (REER) ყოველთვიური მაჩვენებლით 0.1%-ით შემცირდა და წლიური გამოთვლებით 15.4%-ით გაიზარდა. REER-ის ზრდა დაკავშირებულია რუსეთისა და ბელარუსის მოქალაქეების შემოდინებასთან. *საერთო ჯამში, REER-თან დაკავშირებულმა ცვლადებმა მცირედი უარყოფითი წვლილი შეიტანეს მშპ-ის რეალური ზრდის პროგნოზებში.*

ინფლაცია. იანვარში სამომხმარებლო ფასების წლიური ინფლაცია 9.4%-ს გაუტოლდა, რაც მიზნობრივ 3%-ს მნიშვნელოვნად აღემატება. სამომხმარებლო ფასების ინდექსის (CPI) ინფლაციის დაახლოებით 4.4 პროცენტული პუნქტი საკვების უფრო მაღალმა ფასებმა განაპირობა. გარდა ამისა, საწვავის ფასების შემცირებამ მცირე უარყოფითი გავლენა იქონია ინფლაციის წლიურ მაჩვენებელზე (0.1 პროცენტული პუნქტი) (საწვავის ფასების წვლილი ინფლაციის მაჩვენებელში ყოველთვიურად მცირდებოდა და იანვარში უარყოფით ნიშნულს მიაღწია). აღნიშნული ტენდენცია, უმეტესწილად, მსოფლიო ბაზარზე შემცირებული საწვავის ფასების შედეგია (ევრო ბრენტის ფასი (COP) წლიური 4.6%-ით შემცირდა). შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მიმდინარე ინფლაცია მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული რუსეთისა და ბელარუსის მოქალაქეების შემოდინებასთან დაკავშირებული მოთხოვნის ზრდით. შესაბამისად, შემდეგი ორი ფაქტორი გვაძლევს ოპტიმიზმის საფუძველს ინფლაციასთან დაკავშირებით: 1) საწვავის და სურსათის ფასებმა კლება დაიწყო მას შემდეგ, რაც წლის დასაწყისში პიკს მიაღწია და 2) ლარის



გაცვლითი კურსი გამყარდა საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორების ვალუტებთან მიმართებით. მიუხედავად იმისა, რომ მიწოდებასთან დაკავშირებული ფაქტორები ისეთი მნიშვნელოვანი ადარ არის, ინფლაციის მაღალი მაჩვენებელი კვლავ ნარჩუნდება მოთხოვნასთან დაკავშირებული ისეთი ფაქტორების გამო, როგორცაა რუსეთის მოქალაქეების გაზრდილი მიგრაცია რუსეთის მიერ უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ. ამავდროულად, საბაზო ინფლაციის მაჩვენებელი 7.7%-ს გაუტოლდა. *საერთო ჯამში, CPI-თან დაკავშირებულმა ცვლადებმა მცირედი უარყოფითი წვლილი შეიტანა მშპ-ის პროგნოზში.*

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის პროგნოზირების მოდელი ახალი ეკონომიკის სკოლის მიერ შემუშავებული წამყვანი ეკონომიკური ინდიკატორების (LEI) მეთოდოლოგიის მიხედვით შეიქმნა. ჩვენ მიერ შემუშავებული მოდელი ეფუძნება დაშვებას, რომ არსებული მონაცემებიდან შესაძლებელია იმ ფაქტორების გამოკვეთა, რომლებიც ყველა მნიშვნელოვან ეკონომიკურ ცვლადს (მათ შორის მშპ-საც) ასახავს, თან მშპ-ის ზრდის ოფიციალური მონაცემების გამოქვეყნებამდე მნიშვნელოვნად ადრე. ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი თითოეული კვარტლისთვის ხუთ ყოველთვიურ პროგნოზს (ან 'vintage') აქვეყნებს, რომელთა სიზუსტე დროსთან ერთად იზრდება. პირველი პროგნოზი (1-ელი 'vintage'), როგორც წესი, ხელმისაწვდომია საანგარიშო კვარტლის დასრულებამდე ხუთი თვით ადრე. ბოლო პროგნოზი (მე-5 'vintage') კი მომდევნო კვარტლის პირველ თვეში ქვეყნდება.